სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-07/130

ქ. თბილისი 30 სექტემბერი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის დიპლომატიური ოსტატობის სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორიის სახელის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 28 ივლისის სხდომის #14 ოქმის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, ირაკლი გაბისონიას სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტის „დიპლომატიური ოსტატობის სასწავლო-პრაქტიკულ ლაბორატორიას“ და ეწოდოს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტის „მიხეილ მუსხელიშვილის სახელობის დიპლომატიური ოსტატობის სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორია".
2. მოწონებული იქნეს ლაბორატორიის სახელის შეცვლასთან შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში.
3. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**